კომისიამ ხელახლა განიხილა 2021 წლის 21 დეკემბრის #2 კომისიის სხდომაზე გადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება. გ) ქალაქ თბილისში ვანლერ დაისელის I ჩიხი, N 11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.036.046) მიმდებარე არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 22 ნოემბრის N01213263672 წერილის მიხედვით, N01.17.08.036.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის შემოღობილი ტერიტორია და არ წარმოადგენს საჯარო სივრცეს. ამასთან, N01.17.08.036.046 და N01.17.08.036.084 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) ფაქტობრივად სატრანსპორტო ფუნქცია არ გააჩნია და არსებული რელიეფიდან გამომდინარე, აღნიშნულ მონაკვეთებზე არ არსებობს სამომავლო გზის მოწყობის პოტენციალი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში ვანლერ დაისელის I ჩიხი, N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.036.046) მიმდებარე არსებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღება;

12-032104946-03 - 18.02.2021 („ზ“ პოზიცია)

ება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). საპროექტო არეალის უმეტესი ნაწილი მოქცეულია სპეციალური შეზღუდვის ზონაში, კერძოდ, მდინარეთა შეტბორვის არეალში, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 28-ე მუხლისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მიხედვით, ვრცელდება სპეციალური რეჟიმი. შესაბამისად, ზონის ცვლილება დასაშვებია შეტბორვის არეალის მიღმა არსებულ საკადასტრო ერთეულებზე. ამასთანავე, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება სასაფლაოების სანიტარიული დაცვის არეალი და ასევე, მოქცეულია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N1.9 „საშიში გეოდინამიკური პროცესების მიხედვით თბილისის დარაიონების რუკით“ დადგენილი მაღალი გეოდინამიკური საფრთხის ზონაში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ასევე ხორციელდება მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება. ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრეების კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საპროექტო ტერიტორიის კონტურში, მდინარეთა შეტბორვის არეალის მიღმა არსებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 6-ით. (სზ-6).

კომისიის სხდომაზე გაიმართა მსჯელობა და შეტბორვის არეალების გათვალისწინებით უარი ეთქვას მითითებულ ზონის ცვლილებას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი ზ/აღნიშნული შენიშვნებით გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „ქ. თბილისში, საბურთლოს რაიონში, ქვემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.16.17.448) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N19 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-032209028-03 - 31.03.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტციძემ. მისი თქმით,

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისი, ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.758; N72.16.21.759; N72.16.21.750; N72.16.21.751; N72.16.21.752; N72.16.21.753; N72.16.21.754; N72.16.21.756; N72.16.21.757; N72.16.21.749; N72.16.21.755). სრული არეალის ფართობი 5 000 კვ.მ. კორექტირება ეხება 800 - კვ.მ.-ს. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქვემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.16.17.448) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N19 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). ცვლილება მოიაზრებს საპროექტო არეალში შემავალი ორი საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: N72.16.21.758; N72.16.21.759) გაერთიანებას, ჯამური ფართობით 800 კვ.მ; არ ხდება ფუნქციური ზონირების ცვლილება და ტერიტორია ვითარდება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით განსაზღვრული ფუნქციური ზონირებით. ნაკვეთების ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი: 5 000 კვ.მ., აქედან კორექტირება ეხება 800 კვ.მ.-ს. განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით - ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ), რომელიც ექვემდებარება ცვლილებას განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)- 4 328,0 კვ.მ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 672,0 კვ.მ კ1-0,5; კ2-0,8; კ3-0,3 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 29 მარტის N01220882471 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №16-032208994-03 - 30.03.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტინემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისი, კრწანისის N49, სახლი N8-ის

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.18.06.015.176; 01.18.06.015.175; 01.18.06.015.177; 01.18.06.015.173; 01.18.06.015.174; 01.18.06.015.171; 01.18.06.015.170; 01.18.06.015.169; 01.18.06.015.168; 01.18.06.015.167; 01.18.06.015.172; 01.18.06.015.270; 01.18.06.015.271; 01.18.06.015.154; 01.18.06.015.210). მთლიანი არეალის ფართობი: 5434 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ეხება მხოლოდ I სექტორის F ნაკვეთებს (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.176, N01.18.06.015.154, N01.18.06.015.210,) ჯამური ფართობია 749 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელ ზონა 2-ში (სზ-2). „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. აღნიშნულის შემდგომ, „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N390 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. კორექტირება შეეხო II სექტორს (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057), სადაც ორი ინდივიდუალური საცხოვრებლის ნაცვლად განთავსდება სამი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ბოლო კორექტირება განხორციელდა - „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. №72, №74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.015.057; №01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის №85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის N469 განკარგულებით. აღნიშნულის მიხედვითაც კორექტირება შეეხო II სექტორის I და J სექტორს, შეიცვალა მხოლოდ შენობათა განთავსება, უცვლელი დარჩა დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები და გეგმარებითი დავალებითა და დამტკიცებული პროექტით დადგენილი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება, სიმაღლე და სართულიანობა. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ეხება I სექტორის F ბლოკს (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.176, N01.18.06.015.154, N01.18.06.015.210) ჯამური ფართობია 749 კვ.მ. საპროექტო წინადადებით იზრდება F ბლოკის არეალი, (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.176, N01.18.06.015.154, N01.18.06.015.210) მიწის ნაკვეთებს უერთიანდება N01.18.06.018.120 – 181 კვ.მ. F ბლოკის ჯამური ფართობი შეადგენს 930 კვ.მ.-ს. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, იზრდება F ბლოკში განთავსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანების კ-1 და განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტები, ასევე, იზრდება მისი კონსტრუქციული სიმაღლე და სართულიანობა, რომელიც შეადგენს 4 სართულს (3 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართული).

თუმცა, ვინაიდან, არეალი გაიზარდა არ იცვლება მთლიანი განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: საპროექტო პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: სზ-2 - 5 615 კვ.მ. კ-1= 0,3 – 1764 კვ.მ. კ-2= 0,5 – 3022 კვ.მ. კ-3= 0,5 – 2820,8 კვ.მ. F - ბლოკი 930 კვ.მ. კ-1= 0,5 – 450 კვ.მ. კ-2= 0,7 – 680 კვ.მ. კ-3= 0,5 – 465 კვ.მ. 4 სართული ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-032208990-03 - 30.03.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N262ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.805). მთლიანი არეალის ფართობი: 50 000 კვ.მ. ასევე, აღნიშნული ტერიტორია მდებარეობდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის შეზღუდვის არეალში. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 12 იანვრის N2-03/482 წერილის შესაბამისად, შემცირდა აღნიშნული შეზღუდვის არეალი და უწყება თანახმაა შენობათა განთავსების არეალის გაზრდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (სზ-3). „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, გზის შუახაზიდან 100 მ-იანი დაშორების დაცვით, განთავსებული იყო რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო, რომელსაც დადგენილი ჰქონდა სამრეწველო ზონა 1 (ს-1 – 13 559,5 კვ.მ.) ხოლო გზის გაფართოვების შეზღუდვის გათვალისწინებით, არასამშენებლო ტერიტორიას დადგენილი ჰქონდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3 – 36 440,5 კვ.მ.) ფუნქციური ზონირება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: სამრეწველო ზონა 1 (ს-1 – 13 559,5 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3 – 36 440,5 კვ.მ.)

ფუნქცია: რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: ს-1 - 13 559,5 კვ.მ. კ-1= 0,3 - 4055.1 კვ.მ. კ-2= 0,3 - 3600.0 კვ.მ. კ-3= 0,1 - 1065.8 კვ.მ. 12 მეტრი / 1 სართული. რზ-3 - 36 440,5 კვ.მ. - არასამშენებლო განაშენიანების რეგულირების გეგმის მითითებულია ზონის შესაბამისი პარამეტრები. კ-1= 0,3 კ-2= 1,0 კ-3= 0,5 წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით მოთხოვნილია არსებული რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმოს გაფართოვება, ემატება საწარმოს შენობა და შოურუმი. მოთხოვნილია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1). საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 12 იანვრის N2-03/482 წერილის შესაბამისად, შემცირდა თბილისის შემოვლითი გზის გაფართოვების შეზღუდვის არეალი და თანახმაა შენობა განთავსდეს გზის შუახაზიდან 34,80 მეტრის დაშორებით. მაქსიმალური სიმაღლე გაიზარდა 15 მეტრამდე. სართულიანობა დარჩა უცვლელი - 1 სართული. საპროექტო პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: ს-1 - 50 000 კვ.მ. კ-1= 0,3 - 14 900 კვ.მ. კ-2= 0,3 - 14 900 კვ.მ. კ-3= 0,2 - 8 300 კვ.მ. 15 მეტრი/1 სართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 28 მარტის N01220871820 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა თანახმაა N72.13.33.805 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს საწარმო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 25 მარტის N01220841203 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. „ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.02.004.121; N01.13.02.004.154; N01.13.02.004.020; N01.13.02.004.169) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ([საკრებულოს №12-032209781-03 - 07.04.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2- 4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.02.004.121; N01.13.02.004.154; N01.13.02.004.020; N01.13.02.004.169). საპროექტო ტერიტორიის სრული ფართობი: 10 130 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია საოფისე და საწარმო, ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა სახეობის ხე-ნარგავები, რომლებიც ძირითადად

განლაგებულია საკადასტრო საზღვრების პერიმეტრზე. საპროექტო ტერიტორია მთვარ გზას, აკაკი ბელიაშვილის ქუჩას უკავშირდება N01.13.02.004.154 საკადასტრო ერთეულის მხრიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) და სამრეწველო ზონა 1 (ს-1). „ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.02.004.169; N01.13.02.004.121; N01.13.02.004.020; N01.13.02.004.154) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N369 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო წინადადებით იგეგმება ტერიტორიის მიწის ნაკვეთებად დაყოფა და მათი შიდა გზათა ქსელით დაკავშირება. 2 სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსდება სავარაუდოდ 20 სართულიანი და 21 სართულიანი მრავალფუნქციური შენობა, რომლის 75% დაეთმობა საცხოვრებელ ფუნქციას, ხოლო დანარჩენი 25% საოფისე/კომერციულს. საზოგადოებრივ საქმიანი ზონა (სსზ) და სამრეწველო ზონა 1 (ს-1) იცვლება საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1). კომპლექსი შედგება ორი შენობისაგან. ორივე შენობაში განთავსდება საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული ფართები. შენობა N1 და შენობა N2 განთავსდება დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულებზე. შენობა N1: საოფისე, საცხოვრებელი (აპარტამენტები) განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით: კ1-0,5; კ2-3,5; კ3-0,3. (კ-2: 3,5-11903,5 კვ.მ). მაქსიმალური სართულიანობა 21. 75% საცხოვრებელი (აპარტამენტები) და 25% სხვა ფუნქცია. შენობის პირველი სართული დაეთმობა კომერციულ ფართს. დანარჩენი კი საოფისე და საცხოვრებელ ფართებს. სავარაუდოდ სუფთა საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 7142,08 კვ.მ.-ს. შენობა N2: მრავალფუნქციური შენობა; განისაზღვრება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) ფარგლებში შესაბამისი პარამეტრებით კ1-0,5; კ2-3,5; კ3-0,3. (კ2: 3,5_23551,5 კვ.მ). მაქსიმალური სართულიანობა 20. პროცენტული გადანაწილება 75% მრავალბინიანი საცხოვრებელი და 25% სხვა ფუნქცია. შენობის პირველი სართული დაეთმობა კომერციულ ფართს. დანარჩენი კი საოფისე და საცხოვრებელ ფართებს. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) - 10 130კვ.მ მაქს. სართულიანობა: 21 სართული; მაქს. სიმაღლე: 76,6 მ. განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონები და პარამეტრები: ნაკვეთი N1 - მიწის ფართობი: 3 401 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5 განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2=3.5 (11 903.5 კვ.მ.); მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3; ნაკვეთი N2 - მიწის ფართობი: 6 729 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5; განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2=3.5 (23 551,5 კვ. მ.); მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 31 მარტის N01220903592 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 14 დეკემბრის N0121348931 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.13.02.004.154, N01.13.02.004.020, N01.13.02.004.169 და N01.13.02.004.121

საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

8. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-032209736-03 - 07.04.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.017). საპროექტო ფართობი: 16 019 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და სატრანსპორტოზონა 1 (ტზ-1); სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები (სავარაუდო): საპროექტო ტერიტორიის ფართობი (კვ.მ) – 16 019 კვ.მ. მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 1; შენობების რაოდენობა - 2; არსებული არენა 2 შენობის განაშენიანების საერთო ფართობი (კ-1) – 3355 კვ.მ. ახალი საპროექტო შენობის განაშენიანების საერთო ფართობი (კ-1) – 5295 კვ.მ. განაშენიანების საერთო ფართობი (კ-1) – 8650 (0.5) კვ.მ. არსებული არენა 2 შენობის ინტენსივობის ფართობი (კ-2) – 6678 კვ.მ. ახალი საპროექტო შენობის ინტენსივობის ფართობი (კ-2) – 50067 კვ.მ. განაშენიანების საერთო ინტენსივობის ფართობი (კ-2) – 56745 (3.5) კვ.მ. გამწვანების საერთო კოეფიციენტი (კ-3) – 4806 (0.3) კვ.მ. სართულიანობის მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა 1-22 ავტოსადგომების რაოდენობა მიწისქვეშა - 204 არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); სსზ-1 კ1-0.5, კ2-3.5 , კ3-0.3 საცხოვრებელი ფუნქცია: 61.3 %; საზოგადოებრივი: 38.7 %. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16 1 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ.-სა. განმცხადებლის მიერ დაფიქსირებულია თანხმობა გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდის თაობაზე, რომელიც განისაზღვრება ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების წესების 16 1 მუხლის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 29 მარტის N01220881841 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა №01.14.06.008.017 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 26 მარტის N012208566 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე [\(საკრებულოს №12-032209737-03 - 07.04.2022\)](#)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის სრული ფართობი: 55 272. 00 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და მცირედზე ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). საპროექტოდ გათვალისწინებულია არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით. საპროექტო

კოეფიციენტები იქნება ზონით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად (კ-1=0.2; კ-2-; კ-3=0.8). საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა მოხდება 52 საკადასტრო ერთეულად. 48 მიწის ნაკვეთზე განთავსდება ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, 1 ნაკვეთზე გათვალისწინებულია კომერციული დანიშნულების ობიექტი (მაღაზია). ხოლო 2 ნაკვეთი განკუთვნილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არაუმეტეს 3 სართული. შენობის სავარაუდო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი: 55 272 კვ.მ. სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფართობი - 49816.00 კვ.მ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფართობი- 5456. 00 კვ.მ კერძო საკუთრება (52 333 კვ.მ); ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული დაურეგისტრირებელი (1315 კვ.მ); სახელმწიფო (740 კვ.მ); განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,2; განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2= (საორიენტაციო- 23022.00 კვ.მ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,8; არსებული ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3); საპროექტო ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 5 აპრილის N61-01220954016 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული ტერიტორია მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, გავრცელებული ფუნქციური ზონა, შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სამომავლოდ განვითარდეს წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 23 მარტის N01220821808 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის N01220812590 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

10. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალა, იოსებ კეჭაყმაძის V შესახვევი, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.511; N72.16.15.587; N72.16.15.238) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის N458 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტს ([საკრებულოს №12-032209720-03 - 07.04.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალა, იოსებ კეჭაყმაძის V შესახვევი, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.511; N72.16.15.587; N72.16.15.238) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის სრული ფართობი: 5 012 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალა, იოსებ კეჭაყმაძის V შესახვევი, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.511; N72.16.15.587; N72.16.15.238) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის N458 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. განაშენიანების რეგულირების გეგმით საპროექტო არეალი დაყოფილია შვიდ ნაკვეთად, აქედან 6 მათგანზე განთავსდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ხოლო ერთი ნაკვეთი, რომელიც გამოთავისუფლდა უფლებდაურეგისტრირებელი სივრცის შემოერთების ხარჯზე, საკადასტრო ერთეულების საზღვრების კორექტირების შემდგომ, გამოყოფილია საპროექტო გზისთვის. დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში საჭირო გახდა შემდეგი ცვლილებების შეტანა, რათა კერძო მფლობელობაში არსებული საპროექტო მიწის ნაკვეთების ფართობი დაემთხვეს კერძო მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთების ჯამურ ფართობს. აღნიშნული ცვლილება მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთებზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) წილის მოკლებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ფუნქციური ზონების ფართობები და პარამეტრები არ იცვლება და ასევე არ იცვლება დაგეგმილი გზის პარამეტრები. კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი უდრის 4193 კვ.მ-ს, ხოლო დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ფართობი 819 კვ.მ-ს. მიწის ნაკვეთების ცვლილება მოხდა შემდეგნაირად: ნაკვეთი N1-ის ფართობი იყო 915 კვ.მ და გახდა 893 კვ.მ. ნაკვეთი N2-ის ფართობი იყო 600 კვ.მ დარჩა უცვლელი. ნაკვეთი N3-ის ფართობი იყო 754 კვ.მ და გახდა 744 კვ.მ. ნაკვეთი N4-ის ფართობი იყო 768 კვ.მ და გახდა 756 კვ.მ. ნაკვეთი N5-ის ფართობი იყო 609 კვ.მ და გახდა 600 კვ.მ. ნაკვეთი N6-ის ფართობი იყო 608 კვ.მ და გახდა 600 კვ.მ. ნაკვეთი N7-ის ფართობი იყო 758 კვ.მ და გახდა 819 კვ.მ. საპროექტო კოეფიციენტები ფუნქციური ზონებისთვის დარჩა უცვლელი და შეადგენს: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) – 3970 კვ.მ კ₁=0.5 კ₂=0.8 კ₃=0.4 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 1040 კვ.მ კ₁- კ₂- კ₃=0.1 შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა დარჩა უცვლელი და შეადგენს: 3 სართული, 15 მ. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.747; N81.02.19.746; N81.02.13.953) სასტუმროსა და კულტურის დაწესებულების (ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032209026-03 - 31.03.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.746; N81.02.19.747; N81.02.13.953). საპროექტო ტერიტორიას, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება პარკის ქუჩა, სამხრეთიდან თბილისი-კოჯორის ქუჩა, ჩრდილოეთიდან ნასახლარის ქუჩა, ხოლო დასავლეთიდან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსი. არსებული რელიეფი მცირე ქანობიანია, ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 20 მეტრს. ნიშნულების მატება ხდება აღმოსავლეთიდან, ჩრდილო-დასავლეთით. საპროექტო არეალი არსებული მდგომარეობით არის გაუნაშენიანებელი. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ნასახლარის ქუჩის მხრიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით - შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ყველა ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით განვითარება და სასტუმროსა და კულტურის დაწესებულებების - ყინულის მოედნის და საცურაო აუზის მშენებლობა. აღნიშნულ შენობებამდე მისასვლელის მოწყობა განხორციელდება მხოლოდ ნასახლარის ქუჩის მხრიდან. სასტუმროს მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 15 მეტრს, ყინულის მოედნის - 17,5 მეტრს, ხოლო აუზის - 10 მეტრს. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ჯამური ფართობი: 22 000.0 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია ვითარდება ორ მიწის ნაკვეთად: N1 ნაკვეთი - სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) 15 317 კვ.მ განაშენიანების ფართობი დაახლოებით: კ-1 (საპროექტო 0,6) განაშენიანების ინტენსიობის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: კ-2 (საპროექტო 0,7) მიწის ნაკვეთის გამწვანების ფართობი: კ-3 (საპროექტო 0,2) N2 ნაკვეთი - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) 6 683 კვ.მ. განაშენიანების ფართობი დაახლოებით: 3 342 კვ.მ, კ-1=0,5; განაშენიანების ინტენსიობის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: კ-2=1,5; მიწის ნაკვეთის გამწვანების ფართობი: კ-3=0,3 არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით - შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). საპროექტო ფუნქციური ზონირება: სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 28 მარტის N01220872956 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 23 მარტის N01220822673 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N81.02.19.747, N81.02.19.746 და N81.02.13.953 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ყინულის მოედნის, საცურაო აუზის და სასტუმროს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

12. ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.273; N81.02.01.368; N81.02.01.897) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-03220892-03 - 30.03.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.273; N81.02.01.368; N81.02.01.897). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ), სატყეო ზონა. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ), სატყეო ზონა. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.01.368; N81.02.21.273; N81.02.01.897) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N373 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორია უმეტესად გაუნაშენიანებელია, თუმცა გვხვდება მიმდინარე და შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმები საცხოვრებელი ფუნქციების განვითარებით. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიებზე განვითარებულია ყველა სახის საინჟინრო ინფრასტრუქტურა. საპროექტო მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული N81.02.21.357 საკადასტრო ერთეულის ნაწილს და დატვირთულია სერვიტუტით. აღნიშნული გზა უკავშირდება სამედიცინო ველნეს კურორტ „ბიოლის“ შესასვლელს. აგრეთვე, ხსენებული გზა უერთდება თბილისი-კოჯორის ქუჩას, რომელიც ქალაქს უკავშირდება კოჯორის გზატკეცილის მეშვეობით (კოჯორი-შინდისის ქალაქგეგმარებითი პროექტის შესაბამისად). არსებული ზონირება - სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ) - 13805 კვ.მ; სატყეო ზონა - 1517 კვ.მ საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) -13377 კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 428 კვ.მ.; სატყეო ზონა - 1517 კვ.მ. (სზ-1) კ1=0,5, კ2 =0,8, კ3=0,4; (ტზ-1) კ1, კ2, კ3=0,1; შენობა-ნაგებობების მაქსიმალურ სართულიანობად დაგეგმილია 3 სართული (2 სრული და 1 არასრული); მაქსიმალური სიმაღლე 15 მ. პროექტირებისას

გათვალისწინებულია ხაზობრივი ნაგებობის დაცვის ზონა, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე N1-N6-ის ჩათვლით (საკადასტრო კოდი: N81.02.01.897) ფიქსირდება სს „თელასის“ 35 კვ-ს ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ) და ელექტროგადამცემი ანძა, რომლის შეზღუდვის არეალები და მათი ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია წარმოდგენილ დოკუმენტებში ოფიციალური წერილის სახით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 23 მარტის N01220822659 (N01220202198) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა N81.02.01.368, N81.02.21.273 და N81.02.01.897 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 28 მარტის N01220873595 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

13. ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.689; N81.02.21.679) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე **(საკრებულოს №12-03220872-03 - 28.03.2022)**

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.689; N81.02.21.679). საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 13 593 კვ.მ. საპროექტო არეალს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება არსებული გრუნტის გზა, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან - კერძო მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთიდან ასევე კერძო მიწის ნაკვეთები და არსებული გზა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1); წარმოდგენილი წინადადებით ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სადაც მოეწყობა ინდივიდუალური საცხოვრებელი უბანი; საპროექტო ტერიტორიადაიყოფა 13 ნაკვეთად, მათშორის 1-10 ნაკვეთებზე განთავსდება ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებლის სახლები, მე-11 ნაკვეთს დაედება სატრანსპორტო ზონა და გამოიყოფა გზად, ხოლო მე-12-13 ნაკვეთები წარმოადგენენ სამშენებლოდ შეზღუდულ ტერიტორიას, რომელიც დაიტვირთება სერვიტუტით და დაეთმობა მხოლოდ ლიაავტოსადგომებს, ტროტუარებს და გზას. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო

ტერიტორიის ჯამური ფართობი (კვ.მ) – 13 593 კვ.მ. სამოსახლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 10; სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) –13 შენობების რაოდენობა - 10 საცხოვრებელი სახლი; ასევე, დამხმარე შენობა ნაგებობები და ავტოსადგომები; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 15მ. შენობა-ნაგებობების მიწ. და მაქს. სართულიანობა - 1-3 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორია - 1373 კვ.მ. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სზ-1 კ1-0.5, კ2-0.8 , კ3-0.4 ტზ-1 კ1- , კ2- , კ3-0.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 9 მარტის N01220682568 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N81.02.21.689 და N81.02.21.679 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 16 მარტის N0122075974 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

14. „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-0322103124-03 - 13.04.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, ცაცხვების II შესახვევი N10, N14, N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.18.009.222 - 1200 კვ.მ, N01.10.18.009.177 – 600 კვ.მ, N01.10.18.009.191 – 620 კვ.მ). შეთანხმებული პროექტის მიხედვით დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებითა და დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით. ტერიტორიას შიდასაუბნო გზებით კავშირი აქვს მ. მაჭავარიანის ქუჩასთან, საიდანაც ხორციელდება სატრანსპორტო კავშირი ქალაქთან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-

